ახალი ხარაგაული

374 (5) 19 მარტი, 2018 წ.

ნიკოლოზ თოფურიძემ სოფლებში არსებულ პრობლემებზე იმსჯელა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ თოფურიძემ თათბირი გამართა და ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლებს ახალი კადრები წარუდგინა. ნიკოლოზ თოფურიძემ დაბის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის პოზიციაზე ბაქარ ბარბაქაძე დანიშნა; სარგვეშის ადმინისტრაციულ ერთეულში - ჯემალ კალანდაძე; ფარცხნალის ადმინისტრაციულ ერთეულში - კონსტანტინე ხარაძე; ხიდრის ადმინისტრაციულ ერთეულში - კონსტანტინე ბერაძე; ვახანის ადმინისტრაციულ ერთეულში - გრიგოლ სებისკვერაძე; ასევე ვაკანტური იყო მერის თანაშემწის თანამდებობა, რომელზეც შალვა ბენდიაშვილი შეირჩა. „მჯერა, თითოეული თქვენგანი სამაგალითოდ გაართმევს თავს დაკისრებულ მოვალეობას. დარწმუნებული ვარ, ერთად კარგ შედეგებს დავდებთ. ჩვენ შევქმნით ისეთ სისტემას, რომელიც მთლიანად მორგებული იქნება იმ საჭიროებებზე, რაც ჩვენს მუნიციპალიტეტსა და ხალხს სჭირდება.“ - დასძინა ხარაგაულის მერმა.

შეხვედრაზე სოფლებში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტებიც მიმოიხილეს. ისაუბრეს სამუშაოების პროცესში არსებულ ხარვეზებსა და მათი გამოსწორების გზებზე. თოფურიძის განცხადებით, მშენებელი კომპანიები, რომლებიც ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში სამუშაოებს ვერ შეასრულებენ, დაჯარიმდებიან და მათთან თანამშრომლობა მკაცრად გაკონტროლდება. მერმა ყურადღება ასევე გაამახვილა მუნიციპალურ პროექტებზე და ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლებს მოუწოდა, მაქსიმალური ინფორმაცია მიაწოდონ ადგილობრივ მეწარმეებს გამოცხადებული ტენდერების შესახებ. საუბარი შეეხო ძირულა-ხარაგაული-მოლითის გზის მშენებლობის საკითხსაც და აღინიშნა, რომ ამ პროექტზე ასეულობით ადგილობრივი დასაქმდება.

სამუშაო თათბირი ძირითადად კითხვა – პასუხის რეჟიმში წარიმართა. მერის წარმომადგენლებმა ნიკოლოზ თოფურიძესთან ერთად სოფლებში არსებული მდგომარეობა შეაფასეს და სამომავლო გეგმები დასახეს.

„კონსტრუქციული და კოორდინირებული ურთიერთობა გქონდეთ მოსახლეობასთან. უნდა ვიცოდეთ ყველა სოფლისა და უბნის პრობლემა. ხალხმა უნდა იგრძნოს, რომ ხელისუფლება არის მათთან ახლოს, მათ სამსახურში,“-განაცხადა მუნიციპალიტეტის მერმა.

ნიკოლოზ თოფურიძე სოფლებში არსებული ამბულატორიების მუშაობით დაინტერესდა და წარმომადგენლებს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დაწვრილებითი ინფორმაცია მოსთხოვა. „ჩვენ გვინდა, სოფლის ექიმებმა მოიცვან ყველა ოჯახი, თითოეული ადამიანი. ძირითადი ნაწილი იღებს ამ მომსახურებას, მაგრამ ზოგან არის პრობლემები. ამიტომ შემდეგ თათბირზე დეტალურად მოვისმენ, რა მდგომარეობაა ამ კუთხით და ერთად დავსახავთ მოგვარების გზებს. მნიშვნელოვანია, რომ სოფლის ექიმები აქტიურად იყვნენ ჩართული სისტემის გამართულად ფუნქციონირების პროცესში, “ -აღნიშნა მერმა.

შეხვედრაზე საუბარი შეეხო მუნიციპალიტეტის მასშტაბით არსებულ საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურულ პრობლემებს. ნიკოლოზ თოფურიძის ინფორმაციით, პირველი მოადგილე არჩილ მაღრაძე, შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლებთან ერთად, პირადად შეისწავლის სკოლებში არსებულ მდგომარეობას. შესაბამისად მომზადდება პროექტები, რომლებიც გადაიგზავნება ინფრასტრუქტურის სამინისტროში და ეტაპობრივად დაიწყება საჯარო სკოლების რეაბილიტაცია.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერმა სამსახურის უფროსებთან სამომავლო გეგმებზე ისაუბრა

„მინდა, თქვენთან ერთად შევაფასო გასული 15 თვე ხარაგაულის მმართველობაში. ჩვენ ერთად, კოორდინირებული მუშაობით, ვიღებდით გადაწყვეტილებებს, ვუსმენდით ერთმანეთს და ვაანალიზებდით - რა იყო უკეთესი. ბევრი პრობლემა გადავწყვიტეთ და არაერთი რთული დღე გავიარეთ. მადლობა მინდა გითხრათ იმ გუნდს, ვინც აქ დამხვდით და მაძლიერებდით, ხოლო წარმატებები გისურვოთ სამსახურების ახლად

დანიშნულ უფროსებს. მეამაყება, როცა მადლობას ვიღებ და იცოდეთ, ეს თითოეული თქვენგანის დამსახურებაა. ვთვლი, რომ კომპეტენტური და მოტივირებული კადრებითაა დაკომპლექტებული ადგილობრივი თვითმმართველობის მმართველი რგოლი. დიახ, ჩვენ ერთად უნდა გვქონდეს ამბიცია, რომ ხარაგაული იყოს სანიმუშო მუნიციპალიტეტი,“ - ამ სიტყვებით მიმართა ნიკოლოზ თოფურიძემ შეხვედრაზე მერიის სამსახურების უფროსებს.

ხარაგაულის მერმა თითოეული სამსახურის უფროსთან ერთად გასული კვირა შეაჯამა და სამომავლო გეგმებზე ისაუბრა.

ნიკოლოზ თოფურიძის ინფორმაციით, მსგავსი ტიპის შეხვედრა ოფიციალურ ფორმატში, კვირაში ერთხელ მოხდება.

თავის მხრივ სამსახურის უფროსებმა მადლობა გადაუხადეს ხარაგაულის მერს გამოცხადებული ნდობისთვის და აღნიშნეს, რომ ხარაგაულის მმართველობის ისტორიაში ძნელად თუ ახსენდებათ ასეთი ლიდერი, რომელიც თანამშრომლების მიმართ განსაკუთრებული მხარდაჭერითა და თანადგომით გამოირჩევა.

ა(ა)იპ-ების რეორგანიზაცია დაიწყო

ხარაგაულში მოქმედ ა(ა)იპ-ებში რეორგანიზაციის დასაწყებად, საკრებულოს თანხმობის შემდეგ, მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ თოფურიძე შემდეგ ეტაპზე გადავიდა.

მერი ადმინისტრაციის სამსახურის უფროს, კახა გოლუბიანთან ერთად გაერთიანებებში შემავალი ა(ა)იპ-ების დირექტორებს შეხვდა და მათ მოსალოდნელი რეორგანიზაციის შესახებ ოფიციალური ბრძანებები გადასცა, რომლის თანახმად, დირექტორებმა უნდა უზრუნველყონ თანამშრომელთა გაფრთხილება, მოსალოდნელი რეორგანიზაციისა და მათი სამსახურიდან შესაძლო გათავისუფლების შესახებ. ხარაგაულის მერის განმარტებით, ოპტიმიზაცია/რეორგანიზაციის პროცესი არ გულისხმობს თანამშრომლების მასობრივ დათხოვნას, თუმცა კადრების გადახალისება პერიოდულად აუცილებელია.

„მიმდინარე ცვლილებები ისე უნდა განხორციელდეს, რომ ნაკლებად მტკივნეული იყოს მოსახლეობისთვის. სახელმწიფო დგას სწრაფი განვითარების გზაზე და თითოეული ჩვენგანი უნდა გავხდეთ ამის მონაწილე. ის რეფორმები, რაც ხარაგაულში მოხდება, ადგილობრივ დონეზე თვითმმართველობის კიდევ უფრო გაძლიერებასა და განმტკიცებას გულისხმობს. მეტი ეფექტიანობისთვის მეტი ფინანსური რესურსია საჭირო. სწორედ ამ ფინანსების სწორი და გონივრული გადანაწილება უნდა შევძლოთ და შედეგს აუცილებლად მივიღებთ“, - აღნიშნა ნიკოლოზ თოფურიძემ.

რეორგანიზაციის პროცესი 12 მარტს დაიწყო და დაახლოებით, ერთი თვის განმავლობაში გაგრძელდება.

მიმდინარე წელს ხარაგაულის მუნიციპალიტეტში მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდება

საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება ხარაგაულის ადგილობრივი ხელისუფლების ერთ–ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. ამის დასტურია ის, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში ისეთ სოფლებში, სადაც გზა არასდროს ყოფილა, თანამედროვე სტანდარტების გზები გაკეთდა. 2017 წელს რეგიონული განვითარების ფონდიდან მუნიციპალიტეტს 6 262 217 ლარი გამოეყო და, საერთო ჯამში, 23 სოფელში ბეტონის საფარი დაიგო. ასევე ახალი საბავშვო ბაღი აშენდა ნადაბურში. გარდა ამისა, დამატებითი თანხები გამოიყო მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან, რომლის ფარგლებშიც გოლათუბნისა და წიფის სასოფლო გზები რეაბილიტირდა.

აღსანიშნავია, რომ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიამ 2018-2021 წლების სამოქმედო გეგმა შეიმუშავა. სამოქმედო გეგმაში 45 ინფრასტრუქტურული პროექტია გაწერილი, რომელთა საერთო ღირებულება 14 101 270 ლარს შეადგენს. რა კუთხით უნდა განვითარდეს ხარაგაული, რა პრიორიტეტები შეიმუშავა ადგილობრივმა ხელისუფლებამ, რა გველის მომავალში -ამის შესახებ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე არჩილ მაღარაძე გვესაუბრება:

-მე და ჩემი გუნდი მაქსიმალურად ვცდილობთ, პირველ რიგში იმ ძირითადი პროექტების განხორციელება მოხდეს, რომლებიც მოსახლეობის კეთილდღეობაზე იქნება ორიენტირებული. თამამად შემიძლია განვაცხადო, რომ ბოლო წლების განმავლობაში არაერთი ისეთი ამორტიზებული გზა გავაკეთეთ, რომელსაც რეაბილიტაცია არასდროს ჩატარებია. რა თქმა უნდა, ჩვენ ვიცნობთ თითოეული დასახლების პრობლემებს და შეძლებისდაგვარად ვაგვარებთ კიდეც. მინდა გითხრათ, რომ თითქმის ყველა სოფელში ხორციელდება სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტი და ბევრი სასიკეთო ცვლილებებია მოსახლეობისათვის. დაწყებული გვაქვს დაბის ქუჩების მოპირკეთება და სანიაღვრეების მშენებლო-

გაგრძელება ▶ 2 გვ.

გვერდი მოამზადა ეკა შავიძემ

მიმდინარე წელს ხარაგაულის მუნიციპალიტეტში მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდება

დასაწყისი ▶ 1 გვ.

ბა. ასევე რამდენიმე სოფელში დასრულებულია გაზიფიცირება. აქვე გეტყვით, რომ მომავალში მუნიციპალიტეტში არაერთი ისეთი პროექტი განხორციელდება, რომელიც მიმართული იქნება მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ.

- რის საფუძველზე ანიჭებს მუნიციპალიტეტის მერია პრიორიტეტს განსახორციელებელ ინფრასტრუქტურულ პროექტებს?

- პროექტების შერჩევა-შეფასებისას პირველ რიგში დიდი ყურადღება ექცევა ისეთ სოფლებს, სადაც კომპაქტური დასახლებაა და კეთილმოწყობილი გზები არასდროს ყოფილა. გვაქვს ოთხწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელშიც ნათლადაა ასახული, რომ ამ პერიოდში აბსოლუტურად ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა საუბნო გზები რეაბილიტირებული იქნება. ვფიქრობ, მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა სოფლის განვითარების ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაა და ადგილობრივი ხელისუფლება ამ პრობლემის გადასაჭრელად ნამდვილად ქმედით ნაბიჯებს დგამს.

- რთული კლიმატური პირობებიდან გამომდინარე, რამდენიმე ინფრასტრუქტურულ პროექტზე სამუშაოები შეჩერებული იყო. რა მდგომარეობაა ამ ეტაპზე?

- წიფის სასოფლო გზის მობეტონება 10 აპრილისთვის დასრულდება. ჩრდილის რეაბილიტაციის პროცესი უახლოეს მომავალში განახლდება. სამუშაოების არაკეთილსინდისიერად შესრულების გამო, ხელშეკრულება შეუწყდა კომპანია შპს „ემბიეი ჯორჯიას“, რომელიც ლახუნდარისა და დაბის ჩიხების რეაბილიტაციას ახორციელებდა და პირსაგამტეხლო დაეკისრა.

- რა თანხები გამოეყო მიმდინარე წელს ხარაგაულის მუნიციპალიტეტს რეგიონული განვითარების ფონდიდან და რომელი პროექტების განხორციელება იგეგმება?

- პირველი ეტაპისათვის რეგიონული განვითარების ფონდიდან ხარაგაულის მუნიციპალიტეტს 5 500 602 ლარი გამოეყო და აღნიშნული თანხა ძირითადად სოფლის გზის კაპიტალური შეკეთებისათვის მიიმართა. გარდამავალი პროექტები იყო და მიმდინარე წელს დასრულდება ლახუნდარის, ხონის, ვახანისა და ღარიხევის გზების რეაბილიტაცია. გარდა ამისა მოხდება: წყალაფორეთის, თეთრაწყაროს, ქროლის, ნადაბურის, ვაშლევის, საქარიქედის, უბისის, სერბაისის, ნუნისის, ბორის, ლაშის, უჩამეთის, ახალსოფლის, მარელისის (კაპნარი-კელასაურის დამაკავშირებელი გზის), გრიგალათის, ხუნევის, დეისისა და ბაზალეთის (ნანიტაშვილების უბანი) გზების რეაბილიტაცია. ასევე საბავშვო ბაღები აშენდება ვერტყვიჭალასა და საღანძილეში, რომლის საერთო ღირებულება 400 000 ლარია.

-რამდენად ხარისხიანად ასრულებენ ტენდერში გამარჯვებული კომპანიები სამუშაოებს და გამოვლინდა თუ არა დარღვევის ფაქტები?

-კომპანიას, რომელიც ჯეროვნად ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებას, უწყდება ხელშეკრულება და ერიცხება პირსაგამტეხლო-ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის 30%-ის ოდენობით, ხოლო ვადაგადაცილების გამო ეკისრება ხელშეკრულებით გათვალისწინებული საურავები. გასულ წელს დარღვევის ფაქტი გამოვლინდა ერთ-ერთ კომპანიასთან, რომელსაც შეუწყდა ხელშეკრულება და მის მიმართ გამოყენებული იქნა საჯარიმო სანქციები. ასევე გვქონდა შემთხვევა სოფელ ჩხერში, სადაც გზაზე ბეტონის საფარი უხარისხოდ დაიგო. ინსპექტირების კომისიამ ადგილზე მყოფ საქმის მწარმოებელს სამუშაოების შეჩერება მოსთხოვა, თუმცა კომპანიამ მითითება არ გაითვალისწინა და გზის მშენებლობა ხარვეზით განაგრძო. ზედამხედველობის ჯგუფის გადაწყვეტილებით, ჩხერის გზის 20 -მეტრიან მონაკვეთზე დაგებული ბეტონის საფარი აიყარა და სამუშაოები თავიდან დაიწყო.

- როგორ ხდება დასრულებული პროექტების ჩაბარება და ვინაა პასუხისმგებელი მის ხარისხზე?

-ჩვენი უპირველესი მოთხოვნაა, ხარისხიანად შესრულდეს სამუშაოები. აქედან გამომდინარე, იმერეთის გუბერნიამ გამოავლინა ტენდერში გამარჯვებული საზედამხედველო კომპანია „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფი“, რომელიც ატარებს ინსპექტირებას და პასუხისმგებელია ნებისმიერი ინფრასტრუქტურული პროექტის ხარისხზე. ეს გახლავთ A ტიპის ინსპექტირების ორგანო, რომელიც შეფასდა და აკმაყოფილებს ეროვნულ სტანდარტებს.

- როგორ ხდება ტენდერში გამარჯვებული კომპანიებისათვის შესრულებული სამუშაოების ღირებულების ანაზღაურება? ურიცხავთ თუ არა თანხებს წინასწარ?

- ხელშეკრულების პირობების თანახმად, თანხის ანაზღაურება სამ ეტაპად ხდება: პირველი - როდესაც კომპანია სამუშაოების 30%-ს შეასრულებს, მეორე - 60%-ის შესრულებისას, სააბოლოო ანგარიშსწორება კი პროექტის ჩაბარების შემდეგ ხდება. თუმცა ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე შესაძლებელია, კომპანიამ წარმოადგინოს საბანკო გარანტია და სახელშეკრულებო თანხის 30% ავანსის სახით წინასწარ აიღოს. ასეთი შემთხვევა მხოლოდ ერთხელ შპს „ბორი 85-მა“ გამოიყენა, რომელიც ლეღვნის ადმინისტრაციულ ერთეულში გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებს ასრულებდა.

- გასული წლის დასასრულს სტიქიამ ხარაგაულს მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა. როგორც ვიცი, გარკვეული თანხები გამოიყო დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღსადგენად. რა ეტაპზეა ამჟამად სამუშაოები?

- ხარაგაულის ადმინისტრაციულ ერთეულებში სტიქიის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურული ობიექტების სარეაბილიტაციო სამუშაოები თითქმის დასრულებულია. ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტს სახელმწიფო ბიუჯეტის სტიქიის ფონდიდან პირველ ეტაპზე 700 ათასი ლარი, ხოლო მეორე ეტაპზე 1 650 000 ლარი გამოეყო. აღნიშნული თანხა ძირითადად დაზიანებული გზების, ხიდ-ბოგირების აღდგენის, ასევე ნაპირსამაგრი და სანიაღვრე არხების გაწმენდითი სამუშაოების ჩატარების მიზნით მიიმართა.

- როგორც ვიცით, ძირულა-ხარაგაული-ჩუმათელეთის გზის პირველი მონაკვეთის რეაბილიტაცია იწყება. იგეგმება თუ არა ადგილობრივების დასაქმება და რა ღონისძიებებს ატარებს მუნიციპალიტეტის მერია იმისათვის, რომ ავტომაგისტრალი დაბის ტერიტორიაზე არ გავიდეს?

- როგორც ცნობილია, გამოვლენილია ტენდერში გამარჯვებული კომპანია „ბლექ სი გრუპი“ და პირველი ლოტის მშენებლობა (25კმ) აპრილიდან დაიწყება. პროექტის ხანგრძლივობა ჩვიდმეტი თვეა და სამუშაოებზე 70-% ადგილობრივების დასაქმება იგეგმება. კომპანიის წარმომადგენლებმა უკვე მოითხოვეს იმ პირების სახელობითი სია, რომელთაც სურთ მუშაობა. რაც შეეხება დაბის ტერიტორიაზე გაივლის თუ არა გზა, ეს საკითხი ჯერჯერობით გადაწყვეტილი არაა და აქტიურად ვაწარმოებთ მოლაპარაკებას საგზაო დეპარტამენტთან და მშენებელ კომპანიასთან. ჩვენ მაქსიმალურად ვცდილობთ, მოხდეს ალტერნატიული მარშრუტის გამოყენება. აქვე გეტყვით, რომ ძირულა-ხარაგაული-მოლითი-ფონა-ჩუმათელეთის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია განხორციელდება ძირითადად უკვე არსებული გზის ფარგლებში და 50 კმ-იანი მონაკვეთი ორზოლიანი იქნება. რაც შეეხება სამშენებლო სამუშაოებს, აზიის განვითარების ბანკიდან ფინანსდება.

ეკა შავიძე
თამარ მაღრაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიამ მრავალშვილიან ოჯახს საცხოვრებელი სახლი შეუძინა

ხარაგაულის მერმა ნიკოლოზ თოფურიძემ ბაზალეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრებ მრავალშვილიან დედას, ირინე შველიძეს, ახალი საცხოვრებელი ფართი ოფიციალურად გადასცა. ირინე და პაატა შველიძეების 10 -სულიანი ოჯახი ამ დრომდე მეზობლის სახლში ცხოვრობდა. ხარაგაულის მერიის სოციალური სამსახურის უფროსის, ნანა კიკნაძის, ინფორმაციით, სახლის შეძენა ადგილობრივი ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან მოხდა. მრავალშვილიან ოჯახს ახალ საცხოვრებელ ფართში გადასვლა, დედისა და ქალთა საერთაშორისო დღე პირადად მიულოცეს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ თოფურიძემ, მერის მოადგილე თემურ ჩხეიძემ, ბაზალეთის მაჟორიტარმა დეპუტატმა ვარლამ ჭიპაშვილმა და ადგილობრივი თვითმმართველობის სხვა წარმომადგენლებმა.

„მინდა, ხაზგასმით აღვნიშნო სოფლის ახალგაზრდა დეპუტატის განსაკუთრებული წვლილი ამ საქმეში. მართლაც მნიშვნელოვანი და სიკეთით სავსე დღეა. გილოცავთ ახალ საცხოვრებელ გარემოს. დაე თქვენს შვილებთან ერთად გეცხოვროთ მშვიდად და ბედნიერად, არ მოგკლებოდეთ ჯანმრთელობა, შრომის ხალისი და სიკეთისკენ სწრაფვის უნარი“.- აღნიშნა ნიკოლოზ თოფურიძემ.

ხარაგაულის მერმა გაზაფხულის დღესასწაულები დედის დღე და ქალთა საერთაშორისო დღე მიულოცა ასევე, სოფელ ზედუბანში მცხოვრებ 37 წლის 9 შვილიან დედას მაია ცხადაძეს. ნიკოლოზ თოფურიძემ, ქალბატონ მაიას შვილების ჯანმრთელობა, ბედნიერება და სიხარული უსურვა.

ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატი, კობა ლურსმანაშვილი, დავით აღმაშენებლის აკადემიის საპატიო პროფესორად აირჩიეს

საქართველოს პარლამენტის წევრი, ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატი, კობა ლურსმანაშვილი, დავით აღმაშენებლის აკადემიის საპატიო პროფესორად აირჩიეს. ამავე რანგში დეპუტატი დავით აღმაშენებლის აკადემიას ეწვია და პროექტის -„საჯარო მოხელის საჯარო ლექცია“- ფარგლებში ადგილობრივი თვითმმართველობისა და რეგიონული პოლიტიკის თემაზე ლექცია წაიკითხა. როგორც ჩვენთვის ცნობილია ამ მიმართულებით კობა ლურსმანაშვილი ახალი პროექტების დანერგვასაც აპირებს.

ხარაგაულის მერმა ნიკოლოზ თოფურიძემ სოფელ ვარძიაში მრავალშვილიანი ოჯახი მოინახულა

ვარძიის ადმინისტრაციულ ერთეულში, მერის წარმომადგენლის, მზექალა გლუნჩაძის ინიციატივითა და შუამდგომლობით, ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროგრამის „ბავშვთა სოფელი“ ფარგლებში, სოფელ ვარძიაში მცხოვრებ გია ხიჯაკაძის ოჯახს საჩუქრად ავეჯი გადაეცა.

პირველ ეტაპზე, ორი არასრულწლოვანთათვის საწერი მაგიდები, კომოდები და სკამები გამოიგზავნა, მომავალში კი, ამავე პროექტით ოჯახს ტელევიზორი და კომპიუტერები გადაეცემა.

ხარაგაულის მერი ოჯახის წევრებს, რომლებიც მეხუთე შვილს ელოდებიან, გაესაუბრა და შესაძლებლობის ფარგლებში მათ თანადგომა და დახმარება აღუთქვა.

„თუ ჩემში ჩაიმეცა ლიჩევაული-ხარაგაულის დამსახურებაა...“

ხარაგაულის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა ჯაბა ბერაძემ რამდენიმე დღის წინ დოქტორის აკადემიური ხარისხის წოდება მიიღო. 28 წლის ასაკში ასეთი წარმატების მიღწევა მარტივი არაა. ის გზა, რომელიც მან გაიარა, საკმაოდ რთული აღმოჩნდა, თუმცა დღეს ბედნიერ და იღბლიან ადამიანად მიიჩნევს თავს, რადგან მიაღწია უმთავრესს, რაც მიზნად ჰქონდა დასახული. ყველაზე მნიშვნელოვანი როლი მის წარმატებაში ოჯახმა, განსაკუთრებით დედამ, შეიტანა, რომელიც ცხოვრების ყველა ეტაპზე ჯაბას გვერდით ედგა და ამხნევებდა.

„ხარაგაულში დავიბადე და გავიზარდე. აქ ვისწავლე ადამიანობა, მეგობრობა, სიყვარული...თუ რაიმე არის ჩემში ღირებული, ამ პატარა რაიონის დამსახურებაა. როცა სტუდენტი გავხდი, მე და ჩემი მეგობრები პარასკევ საღამოს მოუთმენლად ველოდებოდით, რომ აქ დავბრუნებულიყავით. ეს იყო სწორედ ის ადგილი, სადაც ბედნიერად ვგრძნობდით თავს. დავამთავრე წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზია. არაჩვეულებრივი პედაგოგები მასწავლიდნენ. ქალბატონი ზეინაბ ბუაჩიძე გახლდათ ჩვენი კლასის დამრიგებელი. არ დამავიწყდება მათი მუხლჩაუხრელი შრომა რაც შეიძლება მეტი გვესწავლა. სკოლის დასრულების შემდეგ სწავლა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში განვაგრძე. საბანკო საქმე იყო ჩემი ძირითადი სპეციალობა, მეორად სპეციალობად ფსიქოლოგია ავირჩიე, რომელიც ასევე ძალიან მაინტერესებდა. უნივერსიტეტი რომ დავასრულე, სწორედ იმ პერიოდში „ლიბერთი ბანკის'' ხარაგაულის ფილიალში მოხდა რეორგანიზაცია. დედაჩემის დაჟინებული თხოვნით გამოცხადებულ ვაკანსიაზე შევიტანე განაცხადი და დავინიშნე ბანკში მოლარე-ოპერატორად. იმ ეტაპზე მართლა არ ვაპირებდი ხარაგაულში დაბრუნებას, რადგან სწავლის გაგრძელების სურვილი მქონდა და აქედან ეს ცოტა შეუძლებლად მიმაჩნდა. მაგრამ ჩემმა ოჯახმა დიდი სტიმული მომცა, რითაც შევძელი დასახული მიზნის განხორციელება და სწავლა განვაგრძე მაგისტრატურაში. ეს საკმაოდ რთული პროცესი იყო. სამსახურთან ერთად სწავლა ბევრ შრომას, დროსა და ენერგიას მოითხოვდა, მაგრამ ინტერესმა და მისწრაფებამ ყოველივე შემაძლებინა. 2013 წელს დავამთავრე მაგისტრატურა. ბანკში მუშაობის დროს გამოცხადდა ვაკანსია ტრენერის პოზიციაზე. ეს გულისხმობდა ადგილობრივი თანამშრომლების გადამზადებას. ხარაგაული არ იყო ამ სიაში, რადგან მხოლოდ დიდი რაიონებისთვის იყო გათვალისწინებული, მაგრამ ჩემი მონაცემები მაინც გავგზავნე. ჩატარდა გამოცდები და იქაც მივიღე უმაღლესი შეფასება. ბევრი ფიქრის შემდეგ, თუ სად უნდა ჩამეტარებინა ტრენინგები, მიიღეს გადაწყვეტილება და გამომიშვეს ხარაგაულში, რაც ჩემთვის იყო ძალიან სასიხარულო და საპასუხისმგებლოც. 2014 წელს სწავლა დოქტორანტურაში გავაგრძელე. იმდენად დიდი იყო ჩემი დაინტერესება და ასევე ჩემი პროფესორების სურვილი, რომ ეს გადაწყვეტილება მარტივად მივიღე. ძალიან მიწყობდა ხელს და მეხმარებოდა ჩემი თემის ხელმძღვანელი, საოცარი ადამიანი ზურაბ ლიპარტია, მან ბევრი გააკეთა იმისთვის, რომ მე წარმატებით დამემთავრებინა დოქტორანტურა. 2016 წლიდან ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიაში ვმუშაობ. როდესაც ნიკოლოზ თოფურიძემ სამსახურის უფროსის თანამდებობა შემომთავაზა, ჩემთვის ეს იყო სრულიად მოულოდნელი.თბილისში წასვლა მქონდა გადაწყვეტილი, თუმცა ვიფიქრე-მომეცა შანსი, გამეკეთებინა ის საქმე, რაც მომწონდა, რომ ქმედითი ნაბიჯები გადამედგა ხარაგაულის საკეთილდღეოდ. ბედნიერი ვარ, რომ დღეს იქ ვარ, სადაც მიყვარს და მსიამოვნებს ყოფნა.

-თუმცა არის სკეპტიკური დამოკიდებულება ხარაგაულის საზოგადოების გარკვეული ნაწილისგან ახალგაზრდა კადრების მიმართ, რას იტყვით ამაზე?

-როდესაც ახალგაზრდა კადრები შემოდიან მმართველობაში, სკეპტიკური დამოკიდებულება არაა გასაკვირი. ეს მაინც დიდი რისკია, ან გაამართლებს, ან არა. თუმცა აუცილებელია ასეთ რისკებზე წასვლა არა მარტო საჯარო სფეროში, არამედ ბიზნესშიც. ვსწავლობდი ამ მიმართულებით და ძალიან კარგად ვიცი, თუ არ გარისკე, არ უნდა ელოდო უკეთეს მოვლენებს. დღეს ხარაგაულის მერიის ყველა ის სამსახური, რომელსაც ახალი კადრები ხელმძღვანელობენ, ძალიან ეფექტურად მუშაობს. მთავარია სურვილი და მონდომება გქონდეს, რომ საქმე აკეთო, მით უმეტეს, როცა მმართველი გუნდი ხელს გიწყობს, ყველაფრის მიღწევა შესაძლებელია. ნდობა, რომელიც ხარაგაულის მერმა, ბატონმა ნიკოლოზმა გამომიცხადა, ჩემთვის უმნიშვნელოვანესია და, ვფიქრობ, მისი იმედები გავამართლე. საჯარო სამსახური საკმაოდ რთულია, რამდენიმე თვის განმავლობაში, სიმართლე გითხრათ, მიჭირდა მუშაობა, მაგრამ ისეთი ძლიერი გუნდი დამხვდა, მალე დავძლიე ყველა პრობლემა. საკვლევი თემაც, რომელიც კერძო სექტორზე მქონდა დოქტორანტურაში, შევცვალე და გავაგრძელე შიდა ფინანსური კონტროლის კვლევა საჯარო დაწესებულებების მაგალითზე, რომელიც სწორედ იმ საკითხებს ეხებოდა, რასთანაც ყოველდღიური შეხება მაქვს სამსახურში. მადლობა მინდა, გადავუხადო ნიკოლოზ თოფურიძეს, რომ არა მისი ხელშეწყობა, რთული იქნებოდა ამ მიზნის მიღწევა.

- როგორია თქვენი სამომავლო გეგმები?

- უახლოესი ოთხი წლის განმავლობაში არსად ვაპირებ წასვლას. ყველაფერი მიწყობს ხელს, რომ ჩემი საყვარელი საქმე ნაყოფიერად ვაკეთო. სამომავლო გეგმები ისევ და ისევ ხარაგაულს უკავშირდება, ზრუნვას მის განვითარებასა და უკეთეს მომავალზე. ერთი წელი ვაპირებ შესვენებას და შემდეგ ისევ ვგეგმავ სამეცნიერო კუთხით სწავლის გაგრძელებას, რადგან მუდამ ახლის ძიებაში ვარ. პირადი ცხოვრებისთვის აქამდე დრო არ მრჩებოდა, ახლა, ალბათ, ამაზეც ვიფიქრებ...

-თვისება, რის გამოც აფასებთ ადამიანს...

-ურთიერთობებში ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანია სიმართლის თქმა, როცა მართალი ხარ ადამიანი, ამაზე კარგი რა უნდა იყოს. ეს იწვევს ნდობას, ერთგულებას, პატივისცემას... რის გარეშეც წარმოუდგენელია ცხოვრება.

-რას ეტყოდით ახალგაზრდა თაობას,რა არის მთავარი წარმატებისთვის?

-მომავალ თაობას მინდა ვუთხრა, რომ სწავლის გარეშე არაფერი გამოვა. მართალია, ძალიან რთულია ეს გზა, მაგრამ სასიამოვნოა, როცა შენი შრომის შედეგს ხედავ. ახალგაზრდებო, დაისახეთ მიზანი და ყველაფერი გააკეთეთ მის მისაღწევად! სულ ვფიქრობ, რა შეიძლება მათთვის მცირედი მაინც გავაკეთო და გადავწყვიტე, მოვიწვიო სხვადასხვა სფეროს პროფესიონალი ტრენერები, რომლებიც აბიტურიენტებს ჩაუტარებენ ლექცია-სემინარებს, რაც დაეხმარებათ მათ მომავალი პროფესიის სწორად არჩევაში. დასაწყისისთვის ეს დაბის სკოლებისთვის გაკეთდება და, ვიმედოვნებ, სოფლის საჯარო სკოლებიც ეტაპობრივად ჩაერთვებიან. ასეთი შეხვედრები შესაძლებლობას მისცემს მომავალ თაობას, სწორად და გააზრებულად აირჩიონ პროფესია და წარმოდგენა ჰქონდეთ, რისი გაკეთების შესაძლებლობა ექნებათ მომავალში.

-ადამიანი, რომელმაც თქენი ცხოვრება შეცვალა?

-ჩემს ცხოვრებაში ბევრი მნიშვნელოვანი ადამიანია, ყველაზე მთავარი ჩემი ოჯახის წევრები და მეგობრები არიან. რომ არა ისინი, ხშირად ვფიქრობ, ის ვინც ვარ დღეს, არ ვიქნებოდი...მაგრამ არის ერთი ადამიანი, რომელმაც ჩემი ცხოვრება მთლიანად შეცვალა, ესაა ჩემი დისშვილი, ანანო. მოუთმენლად ველოდები ზაფხულის დადგომას, რომ ხშირად იყოს ჩვენთან, მაშინ ვარ უზომოდ ბედნიერი და გახარებული. თვალს რომ გადავავლებ ჩემს ცხოვრებას, ვრწმუნდები, იღბლიანი ადამიანი ვარ. მართალია, ბევრს ვშრომობ, მაგრამ მიმართლებს კიდეც. გამართლებაა, როდესაც გყავს მზრუნველი ოჯახი, ერთგული მეგობრები და თანამშრომლები, მადლობა მინდა, გადავუხადო თითოეულ მათგანს, რომ არსებობენ და მაძლიერებენ!

ლელა ბუბულაშვილი

ა(ა)იპ-ების ოპტიმიზაციას საკრებულომ მხარი დაუჭირა

5 მარტს გამართულ საკრებულოს მორიგ სხდომაზე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ თოფურიძემ დეპუტატებს ა(ა)იპ-ების ოპტიმიზაციის დასაწყებად თანხმობის თხოვნით მიმართა. ოპტიმიზაციის შემდეგ, ხარაგაულში 16 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ნაცვლად მხოლოდ 7 გააგრძელებს ფუნქციონირებას.

ნიკოლოზ თოფურიძე აღნიშნავს, რომ რეორგანიზაციის შედეგად კონკრეტულ ცვლილებებზე ჯერ ყველა დეტალი ცნობილი არაა. „ამჟამად მუშაობის პროცესში ვართ. ზუსტად არ ვიცით, რა იქნება, ამიტომ წინასწარი ვარაუდებით საუბარს უნდა მოვერიდოთ და დიდი სიფრთხილით მოვეკიდოთ საკითხს. ა(ა)იპ-ების სტრუქტურული ცვლილებებისთვის აუცილებელია მათი სფეროების ფუნქციური დაჯგუფება, რაც უფრო ეფექტურს, მოქნილს და შედეგიანს გახდის მათ საქმიანობას, ამასთანავე საშუალება გვეძლევა, შევამციროთ ადმინისტრაციული ხარჯები.“

დეპუტატების პასუხად, რომლებიც რეორგანიზაციის შედეგად კადრების მოსალოდნელ შემცირებაზე საუბრობენ, ხარაგაულის მერმა განმარტა, რომ ა(ა)იპ-ის თითოეული თანამშრომლის საქმიანობასა და ფუნქციურ დატვირთვას დიდი პასუხისმგებლობით ეკიდება. „ნუ მივცემთ წარმოდგენილ საკითხს ისეთ განვითარებას, თითქოს მასობრივი დათხოვნა მოხდება. კადრების გადახალისება პერიოდულად საჭირო და აუცილებელია მეტი ეფექტიანობისთვის. შეიძლება ეს მტკივნეული პროცესი იყოს, მაგრამ გარდაუვალია. ვცდილობთ, ისე გადავწყვიტოთ, როგორც ხარაგაულის საზოგადოებისთვის და ა(ა)იპ-ებში დასაქმებული ადამიანებისთვის იქნება უკეთესი.“

რეორგანიზაციის საკითხს მხარი არ დაუჭირა ოპოზიციონერმა დეპუტატებმა. მათი თქმით, ამ გადაწყვეტილებით ბევრ ოჯახს შეექმნება პრობლემა.

საკრებულოს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრის, ქეთევან ზუმბაძის აზრით, თანამშრომლების გაშვების ხარჯზე არ უნდა იზრდიდნენ ა(ა)იპ-ების ადმინისტრაციის თანამშრომლები ხელფასებს, რაც ჩვენი გადამოწმების შედეგად დადასტურდა. იგი ასევე ბუნდოვანს უწოდებს ბაღების გაერთიანებაში სხვა სასწავლო დაწესებულებების დამატებას.

ნიკოლოზ თოფურიძის განმარტებით, ქვეყანაში დაწყებული რეფორმები, რომლის გამტარებლებიც ვართ ჩვენ, ადგილობრივ თვითმმართველობაში, ხარაგაულისთვის სასიკეთო ცვლილებების საწინდარია. სამსახურებს, კვალიფიციური კადრები ჩაუდგებიან სათავეში და ისინი თავად გადაწყვეტენ, როგორ დაალაგონ მენეჯმენტი და გაატარონ მოქნილი, თვითმმართველობაზე მორგებული, მოსახლეობის პროგრესსა და ხარაგაულის განვითარებაზე ორიენტირებული რეფორმა“.

საკრებულოს სხდომაზე ასევე ცნობად მიიღეს ფრაქციის თავმჯდომარეების მოადგილეების დანიშვნის საკითხი. ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე აირჩნენ ნონა ზურაბიანი და შალვა ლურსმანაშვილი, „ქართული ოცნება-მრეწველების“ თავმჯდომარის მოადგილედ გივი ხიჯაკაძე, „ქართული-ოცნება-კონსერვატორების“-თავმჯდომარის მოადგილედ - აკაკი ლურსმანაშვილი.

სხდომაზე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის ანგარიში წარმოადგინა ამავე სამსახურის უფროსმა აფრასიონ ლურსმანაშვილმა, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ მომავალში ხარაგაულში არსებული შენობა-ნაგებობების გარე ფასადების მოწყობა-გალამაზება იგეგმება.

დეპუტატებმა ასევე მოისმინეს მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურის ანგარიში, რომელიც ამავე სამსახურის ახლად დანიშნულმა უფროსმა თემური თაბუკაშვილმა წარმოადგინა.

დეპუტატებმა აღნიშნული სამსახურების მიერ წარმოდგენილი ანგარიშები დადებითად შეაფასეს.

თამარ მაღრაძე

ხარაგაულის ისტორიულ მუზეუმს დავით მაღრაძე სტუმრობდა

ხარაგაულის ისტორიულმა მუზეუმმა დავით მაღრაძეს უმასპინძლა. საამაყო ხარაგაულელმა, რომელიც გახლავთ ღვინის ეროვნული სააგენტოს მეცნიერი, საქართველოს მევენახეობის დარგის აკადემიური დოქტორი, დიდი წვლილი შეიტანა იმ პროექტის განხორციელებაში, რომელმაც მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოებას დაუმტკიცა, რომ საქართველო არის ღვინის სამშობლო.

2014 წლიდან „ ასოციაცია ქართული ღვინის“ ინიციატივითა და საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით, ღვინის ეროვნულმა სააგენტომ განახორციელა საერთაშორისო მულტიდისციპლინარული პროექტი „ქართული ვაზისა და ღვინის კულტურის კვლევა“, რომლის კოორდინატორიც გახლავთ ბატონი დავით მაღრაძე. პროექტში ქართველ მეცნიერებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს პენსილვანიის, მონპელიეს, მილანის, კოპენჰაგენის, ტორონტოს უნივერსიტეტების, ისრაელის ვაისმანის ინსტიტუტისა და მონპელიეს აგრარული კვლევების ეროვნული ინსტიტუტის თანამშრომლებმა. წამყვანი მეცნიერები სამი წლის განმავლობაში ზედმიწევნით იკვლევდნენ სხვადასხვა დროს მოპოვებულ მდიდარ არქეოლოგიურ მასალას, მათ შორის, ყურძნის უძველეს წიპნებს, თიხასა და თიხის ჭურჭელზე დანალექ მჟავას, რომელიც, საბოლოოდ, ღვინო აღმოჩნდა. ამ მონაცემებმა დაადასტურა,რომ საქართველოს ღვინის კულტურასთან რვაასწლიანი უწყვეტი ისტორია აკავშირებს, რომ აქ მოსახლე ტომები ღვინოს ჯერ კიდევ ძვ. წ 6000 – 5800 წლებში აყენებდნენ, საიდანაც ის შემდეგ გავრცელდა მთელს მსოფლიოში და უდიდესი გავლენა იქონია სოფლის მეურნეობის, ხალხთა კულტურისა და, ზოგადად, ცივილიზაციის ჩამოყალიბებაზე.

აღნიშნული პროექტის შესახებ ისტორიულ მუზეუმში დავით მაღრაძემ ვრცლად ისაუბრა და აღნიშნა, რომ ქართული ღვინის პოპულარიზაციას მსოფლიო ბაზარზე უდიდესი მნიშვნელობა აქვს. „2017 წლის 31 ივლისს საფრანგეთის ქალაქ ბორდოში გამართულ გამოფენაზე საქართველო იყო პირველი მიწვეული ქვეყანა, რომელმაც ღვინის ცივილიზაციის ცენტრში მევენახეობა-მეღვინეობის გამოფენათა ციკლი გახსნა და მუზეუმის საპატიო მასპინძელი გახდა. ბორდოში წარმოდგენილმა უნიკალურმა არქეოლოგიურმა და ეთნოგრაფიულმა ნიმუშებმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ საქართველო უდაოდ უძველესი ღვინის ცივილიზაციის ქვეყანაა. გამოფენაზე ოთხი თვის განმავლობაში მიმდინარეობდა სხვადასხვა ღონისძიება, რომელშიც მსოფლიოში აღიარებული ღვინის ექსპერტები იღებდნენ მონაწილეობას. ასეულობით ადამიანს მიეცა შესაძლებლობა, გაცნობოდა ქართული ღვინის ისტორიასა და კულტურას.“-აღნიშნა ბატონმა დავითმა.

შეხვედრის დასასრულს დავით მაღრაძემ ხარაგაულის ისტორიულ მუზეუმს მადლობა გადაუხადა და საჩუქრად წიგნები და ბორდოს გამოფენისათვის მიძღვნილი საიუბილეო მონეტა გადასცა.

ღონისძიებას ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ თოფურიძე და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები დაესწრნენ.

ლელა გუგულაშვილი

წინ, მშვენიერებისაკენ!

„ხელოვანი მშვენიერების შემოქმედია“- წერდა ცნობილი ინგლისელი მწერალი ოსკარ უაილდი და მოუწოდებდა ადამიანებს, რომ ზიარებოდნენ მშვენიერებას სულის გასაფაქიზებლად, დადებითი ემოციების მისაღებად.

დღეს სასკოლო ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი მოსწავლეთა ესთეტიკურ აღზრდას, რაც თავისთავად ითვალისწინებს მათ წვდომას ხელოვნებისა და მშვენიერების სამყაროსთან. ამ კუთხით კი ნიშანდობლივი ფაქტორია სკოლებში კლუბების მუშაობა.

დაბის მესამე საჯარო სკოლაში (დირექტორი მარინე ხვედელიძე) სამი კლუბი ფუნქციონირებს: „ მომავლის ხელოვანები“ (ხელმძღვანელი დალი ლურსმანაშვილი), ეკოკლუბი (ხელმძღვანელი მანანა სახვაძე) და წიგნის მოყვარულთა კლუბი „ცოდნის მაძიებელი“ (ხელმძღვანელი ნანა ნებიერიძე).

ამჯერად მინდა, ყურადღება ხელოვნების მოყვარულთა კლუბზე შევაჩერო, რომლის მუშაობასაც დიდი ინტერესითა და მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით წარმართავს მასწავლებელი დალი ლურსმანაშვილი. კლუბის დევიზია ცნობილი ფრაზა კონსტანტინე გამსახურდიას რომან „ დიდოსტატის მარჯვენიდან„: „ ხელოვნებაა თავად უკვდავება.“ კლუბს აქვს წესდება და საინტერესო სამუშაო გეგმა. გეგმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ხარაგაულის ისტორიულ მუზეუმთან (დირექტორი ნინო დიდიძე) ურთიერთობა.

აქტუალური მიზნებიდან გამომდინარე, კლუბის ხელმძღვანელმა საჭიროდ ჩათვალა, რომ მოსწავლეები ღრმად ჩაწვდომოდნენ ცნობილი გრაფიკოსის, ხარაგაულის მიწის მკვიდრის, ბატონ ლევან ცუცქირიძის ცხოვრებასა და შემოქმედებას.

სასკოლო კლუბების მუშაობაში აქტიურადაა ჩართული დებატების ინსტიტუტი სპეციალური პროექტით. პროექტში, რომელიც გასული წლის დეკემბრის შუა რიცხვებში დასრულდა, საქართველოს მასშტაბით 500 სკოლა იყო ჩაბმული, მათ შორის, ხარაგაულის მესამე საჯარო სკოლაც.

სწორედ ამ პროექტით ჩატარდა ხარაგაულის ისტორიულ მუზეუმში ხელოვნების მოყვარულთა კლუბის წევრების მიერ ვიდეოგაკვეთილი, რომელიც გრაფიკოს ლევან ცუცქირიძის შემოქმედებას მიეძღვნა.

საამაყოა, რომ პროექტით გამოვლინდა 100 საუკეთესო კლუბი, ხოლო ლევან ცუცქირიძის შემოქმედებისადმი მიძღვნილი ვიდეოგაკვეთილი ათ საუკეთესოს შორისაა.

მესამე საჯარო სკოლის „მომავლის ხელოვანები“ განსაკუთრებული სიხარულით მოელიან წლევანდელ ზაფხულს, რადგან ცნობილი ხელოვანი თავის ვაჟთან, ასევე გრაფიკოს მამუკა ცუცქირიძესთან ერთად, აპირებს ხარაგაულში (ან მოლითში) ხელოვანების სტუდიის დაფუძნებას, რომელშიც აუცილებლად გაერთიანდებიან.

დალი მასწავლებელმა კიდევ ერთი საინტერესო დღე აჩუქა კლუბის წევრებს, როცა თბილისში, ცისფერ გალერეაში, კარავაჯოსა და ბოტიჩელის ნამუშევრების გამოფენა დაათვალიერებინა.

დაპირებულია, რომ მათ კვლავ აუცილებლად წაიყვანს დედაქალაქში მიქელანჯელოს გრაფიკული ნამუშევრების გამოფენაზე (გამოფენა მიმდინარე წლის ორ აპრილამდეა).

სულ ახლახან კი ხარაგაულის თეატრალური ცხოვრების გასაცნობად „მომავალი ხელოვანები“ ოთარ აბაშიძის სახელობის ხარაგაულის სახალხო თეატრის ნიჭიერ რეჟისორს, ქალბატონ ირინე ჩხეიძეს, შეახვედრა. ამ დღეს მიღებული შთაბეჭდილებები არასდროს ამოიშლება მათი მეხსიერებიდან. ქალბატონმა ირინემ დაწვრილებით და ძალზე შთამბეჭდავად უამბო მათ ხარაგაულელთა თეატრალური ყოფა პირველ სცენისმოყვარულთა დასის დაარსებიდან დღემდე, უჩვენა უნიკალური ფოტო და ვიდეომასალები, უპასუხა მათ შეკითხვებს. დაჰპირდა, რომ გააცნობს, თუ რა ხდება თეჯირს მიღმა თოჯინების თეატრში, ყოველთვის იქნება ყველა იმ მოსწავლის მეგობარი და გვერდით მდგომი, რომელთაც აინტერესებთ ხელოვნება, რომლებიც ისწრაფვიან და ელტვიან მშვენიერების სამყაროს.

კვლავ მრავალ საინტერესო დღეთა მოლოდინი ავსებს კლუბის წევრებისა და მათი რუდუნებით გზამკვლევი ხელმძღვანელის ცხოვრებას.

წინ, მშვენიერებისაკენ!

მერი გიორგიძე

ნიკოლოზ თოფურიძის ინიციატივით ხარაგაულში ცაცხვების ხეივანი გაშენდა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის, ნიკოლოზ თოფურიძის, ინიციატივით, საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორიაზე ცაცხვების ხეივანი გაშენდა. ასამდე ცაცხვის ჯიშის ნერგის განაშენიანება ა(ა)იპ „ხარაგაულკეთილმოწყობის“ თანამშრომლებმა განახორციელეს. ნერგები ხარაგაულის სატყეო სამსახურის ხელმძღვანელმა ალი მურადოვმა სატყეო უბნის სანერგე მეურნეობიდან გამოყო, რომლის თანამშრომლებიც ასევე ჩართული იყვნენ აქციაში.

სამუსიკო სკოლაში დედისა და ქალთა დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა

მომავალი თაობის ესთეტიკური აღზრდის საქმეში განუზომელია ხარაგაულის შოთა ბუაჩიძის სახელობის სამუსიკო სკოლის წვლილი (დირექტორი ლალი ალექსიძე). მოსწავლეები ინტერესით ეუფლებიან მუსიკის ჯადოსნურ სამყაროსთან წვდომის საიდუმლოებებს, რაც ხელმძღვანელისა და თავის პროფესიაზე შეყვარებული პედაგოგების დიდი დამსახურებაა.

სამუსიკო სკოლა ხშირად გვთავაზობს სასიამოვნო სიურპრიზებს. ამჯერადაც მსმენელთა დიდი მოწონება დაიმსახურა კონცერტმა, რომელიც უსაყვარლეს დედებსა და ულამაზეს გაზაფხულს მიეძღვნა. ტრადიციულად ღონისძიებას სკოლის პირველკლასელები მასპინძლობდნენ და გარკვეული შეჯამება მოხდა იმისა, თუ როგორ გაფართოვდა დროის ძალიან მოკლე მონაკვეთში მათი ცოდნის არეალი.

სიყვარულისა და დიდი მადლიერების გრძნობით მიესალმა მოსწავლეებს, მათ მშობლებს, პედაგოგებსა და მოწვეულ სტუმრებს სკოლის დირექტორი ქალბატონი ლალი ალექსიძე. მან ხაზი გაუსვა დედების დიდ დამსახურებას, მათი შვილების წესრიგისა და სწავლისადმი ძლიერი ინტერესის გამომუშავებაში.

პირველკლასელებთან ერთად დამსწრე საზოგადოება მოიხიბლა მარიო მელანის სახელობის საერთაშორისო კონკურსის ლაურეატ სალომე მაჭავარიანის, არმაზ და თიკო შავიძეების, თეკლა ებანოიძის, ნათია და დათო კაციტაძეების, მარიამ ტაბატაძის, მარიამ ფცქიალაძის, ელენე ტალახიძის, თეო ჭიპაშვილის მიერ შესრულებულმა მუსიკალურმა ნაწარმოებებმა.

სამუსიკო სკოლასთან ახლახან ჩამოყალიბდა ბენდი დათო კვირიკაშვილის, ირაკლი ცქიტიშვილის, დალი მერაბიშვილის, დარეჯან გვაძაბიას, თამარ ჩიმაკაძისა და დარეჯან კაციტაძის შემადგენლობით. ბენდს შემოუერთდნენ ახალგაზრდები: გიგა ხიჯაკაძე, ცოტნე კიკნაძე, გიორგი ხარაძე. მათ მიერ შესრულებულ ნაწარმოებებს ახლდა იშვიათი ჟღერადობა, შემდეგ კი მაყურებელთა ოვაცია.

როგორც ქალბატონმა ლალი ალექსიძემ აღნიშნა, ბენდი ემზადება სოლო კონცერტის ჩასატარებლად.

სამუსიკო სკოლის ტრადიციულ კონცერტს ხარაგაულის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები დაესწრნენ.

ეკა შავიძე

გამომცემელი ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი“
მის: ხარაგაული, 9 აპრილის ქ.№15, ტელ: **22-32-25**; ტირაჟი 1500 ცალი
დირექტორი: ეკა შავიძე; ტელ.: 595-51-98-12